

პროფესიული საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებისა და შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (“შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) სტუდენტთა პროფესიული საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების პროცედურას.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

მუხლი 2. საწარმოო პრაქტიკის მიზანი

საწარმოო პრაქტიკის მიზანია:

ა) სტუდენტის მიერ სასწავლო-მეთოდური საქმიანობის (პროცესის) საფუძველზე მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების, უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკულ გარემოში ადაპტაცია, განვითარება და განმტკიცება.

ბ) ქვემოთმოცემული დამატებითი ტრანსფერული უნარების გამომუშავება:

ა) ორგანიზაციის ფუნქციურ საქმიანობაში მონაწილეობის უნარი;

ბ) პრაქტიკულ საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის უნარი;

გ) შემდგომი სწავლების მოტივაციის გაზრდა და სწავლების უნარი;

დ) ეფექტური ინტერპერსონალური კავშირების დამყარების უნარი;

ე) ტექნოლოგიების (მათ. შორის კომპიუტერული) საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;

ვ) პიროვნული და ორგანიზაციული პასუხისმგებლობის უნარი;

ზ) ანგარიშვალდებულების უნარი.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. საწარმოო პრაქტიკა შეიძლება იყოს:

ა) სასწავლო კურსის ნაწილი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელი კომპონენტი.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევს შესაბამისი სასწავლო კურსის პედაგოგი.

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ინიშნება რექტორის ბრძანებით.

4. საწარმოო ობიექტზე პრაქტიკას მეთვალყურეობასა და კონსულტაციებს უწევს ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც განისაზღვრება დაწესებულების რექტორის ბრძანებით.

5. საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი ვალდებულია აწარმოოს ყოველდღიური საქმიანობის აღწერა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დღიურში (იხ. დანართი N1) და პრაქტიკის დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში.

6. საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს ყოველდღიური აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერას და კონკრეტული კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელთა გამომუშავებაც შეძლო მან კონკრეტული აქტივობის შესრულების შედეგად;

7. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) **თავფურცელს** (უნივერსიტეტის დასახელება, პრაქტიკის ობიექტის დასახელება, პრაქტიკის ვადები, სტუდენტის სახელი და გვარი, პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, კონსულტანტის სახელი და გვარი);

ბ) **პრაქტიკის ობიექტის აღწერას** (საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე დახასიათება; საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია, წარმოებული პროდუქცია ან/და მომსახურეობა და ძირითადი მომხმარებლები; საწარმოს/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა);

გ) **პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზს** (ანალიზში აისახება: რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდა სტუდენტი პრაქტიკის დროს. პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინა ან/და განივითარა სტუდენტმა პრაქტიკის პროცესში. რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს განხორციელებული საქმიანობა აუდიტორიის ფარგლებში გამომუშავებულ კომპეტენციებს, სასურველია დახასიათდეს აგრეთვე ის სირთულეები, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელსაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკის პროცესში.

დ) **დასკვნებს.**

8. ანგარიში საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკის დამთავრებიდან ერთი კვირის ვადაში. პრაქტიკის ანგარიშის ტექსტი უნდა შესრულდეს თაბახის (A4 ზომის) ფურცლებზე, შრიფტი Sylfaen, ზომა 12, ინტერვალი ორმაგი, დაშორება ფურცლის კიდეებიდან 2სმ.

9. საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ სასწავლო კურსის პედაგოგი/პრაქტიკის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშის ფორმა (იხ. დანართი N2), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით.

მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს განსხვავებული.

2. საწარმოო პრაქტიკის მოცულობა მოცულობა (პრაქტიკის ხანგრძლივობა, კვირაში პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტების რაოდენობა და დღეში საათობრივი დატვირთვა) განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის ან საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით.

მუხლი 5. საწარმოო პრაქტიკის შეფასება

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის მაქსიმალური ქულა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის მაქსიმალური ქულაა 100.

3. სტუდენტის საწარმოო პრაქტიკა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

ა) სტუდენტის მიერ წარმოებული პრაქტიკის დღიური - მაქსიმალური ქულის 20%;

ბ) სტუდენტის ანგარიში - მაქსიმალური ქულის 15%;

გ) სამუშაოს ხელმძღვანელის ანგარიში - ყოველდღიური შეფასება სულ მაქსიმალური ქულის 25%; დასკვნითი შეფასება - მაქსიმალური ქულის 40%.

4. სტუდენტის დღიურის და სამუშაოს ხელმძღვანელის ყოველდღიური შეფასების მაქსიმალური პროცენტული წილის დასადგენად შესაბამისი მაქსიმალური ზღვარი იყოფა პრაქტიკის დღეების რაოდენობაზე.

5. სტუდენტის დღიურის შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) პრობლემის დასმა და ამოცნობა;
- ბ) პრობლემის გადაჭრის გზების სწორად შერჩევა;
- გ) საკუთარი ნამუშევრის ობიექტურად შეფასება;
- დ) აზრის სრულყოფილად და გამართულად ჩამოყალიბება;
- ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება ;

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტუდენტის დღიური

სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი _____

ორგანიზაციის დასახელება _____

პრაქტიკის ხელმძღვანელი _____

პრაქტიკის ხელმძღვანელის პოზიცია _____

პრაქტიკის დაწყების თარიღი _____

პრაქტიკის დასრულების თარიღი _____

N	თარიღი	შესრულებული სამუშაოები	განვითარებული კომპეტენციები
1			
2			
3			

გთხოვთ უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. _____

მიაღწიეთ თუ არა საწარმოო პრაქტიკით დაგეგმილ მიზნებს?

2. _____

საწარმოო პრაქტიკით დაგეგმილ რომელ სწავლის შედეგებს მიაღწიეთ ან ვერ მიაღწიეთ, და რატომ?

3. მოიყვანეთ 2 ან 3 მაგალითი, იმის შესახებ თუ რა ისწავლეთ საკუთარი თავის, ორგანიზაციის, ან ზოგადად სამუშაოს შესახებ.

4. აღწერეთ რამდენიმე საინტერესო ინციდენტი, რომელიც თქვენ შეგემთხვათ პრაქტიკის განმავლობაში. როგორ გადაჭერით პრობლემა და სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში ათვისებული რომელი უნარები გამოიყენეთ პრობლემის გადასაჭრელად?

5. საჭიროა თუ არა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის უფრო წარმატებულად გასავლელად?

6. გქონდათ თუ არა რაიმე ტიპის პრობლემები პრაქტიკის განმავლობაში? (ასეთის არსებობის შემთხვევაში აღწერეთ პრობლემა)

სტუდენტი _____

თარიღი _____

საწარმოო პრაქტიკის შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი _____

ორგანიზაციის დასახელება _____

პრაქტიკის ხელმძღვანელი _____

პრაქტიკის ხელმძღვანელის პოზიცია _____

1. შეაფასეთ სტუდენტის მიერ შესრულებული ყოველდღიური სამუშაო

შეფასებისთვის გამოიყენეთ შემდეგი კრიტერიუმები:

ა) **მოსალოდნელზე დაბალი** - ხელმძღვანელის მიერ კარგად განსაზღვრული ძირითადი ამოცანების შესრულების დონე მოსალოდნელზე დაბალია. სტუდენტი საჭიროებს მუდმივ ზედამხედველობას. შესრულებული სამუშაო საჭიროებს გადახედვას ან გადაკეთებას. სტუდენტი უგულისყუროდ ექცევა შესასრულებელ სამუშაოს და არ იღებს ხელმძღვანელის რჩევებს.

ბ) **მოსალოდნელი** - სტუდენტი კარგად ასრულებს ხელმძღვანელის მიერ დასმულ ამოცანებს. სტუდენტი რეგულარულად აღწევს დასახულ მიზნებს შესაბამისი ხარისხით და დროულად აწვდის ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ ხელმძღვანელს. სამუშაო მოითხოვს მცირე გაუმჯობესებას.

გ) **მოსალოდნელზე მაღალი** - სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო მოსალოდნელზე მაღალია. სამუშაო შესრულებულია წინასწარ დადგენილ ვადებში და არ საჭიროებს, ან მცირედ საჭიროებს ხელმძღვანელის ზედამხედველობას. საბოლოო პროდუქტი მუდმივად მაღალი ხარისხისაა, შესრულებულია პროფესიულ დონეზე და მოითხოვს ძალიან მცირე შესწორებას. სტუდენტი ითხოვს დამატებით პროექტებში და სამუშაოებში ჩართვას.

ძირითადი დავალებები და ამოცანები	მოსალოდნელზე დაბალი		მოსალოდნელი		მოსალოდნელზე მაღალი	
	0.5	1	1.5	2	2.5	
<p>1) გთხოვთ დაასახელოთ და აღწეროთ 2 ან 3 კონკრეტული სამუშაო, რომელსაც სტუდენტი განსაკუთრებით კარგად ასრულებს.</p> <p>2) მოკლედ აღწერეთ სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეები</p>						

2. შეაფასეთ სტუდენტის მიერ სწავლების შედეგების მიღწევის დონე (დასკვნითი შეფასება)

ცოდნა და უნარები	საკმარისი	დამაკმაყოფილებელი	კარგი	მაღლიან კარგი	ფრიადი
	1	1.25	1.5	1.75	2
მაგ.					
პრობლემის გადაჭრის უნარი					
სამუშაოს შესრულების უნარები					
დამოუკიდებლად მუშაობის უნარი					
ანგარიშვალდებულება					
პროდუქტიულობა					
ინიციატიურობა					
სწავლის უნარი					
დახმარების მიღების და გაცემის უნარი					
სხვებისთვის ცოდნის გადაცემის უნარი					
ჯგუფური მუშაობის უნარი					
ინტერპერსონალური კავშირების დამყარების უნარი					
ტექნიკური უნარები, კომპიუტერული უნარები					
სამუშაოს დროულად და ვადებში შესრულების უნარი					
პუნქტუალურობა					
პასუხისმგებლობის უნარი					
წერითი კომუნიკაციის უნარი					
ზეპირი კომუნიკაციის უნარი					
და ა.შ.					

მიაღწია თუ არა სტუდენტმა საწარმოო პრაქტიკით დასახულ მიზნებს? გთხოვთ ახსენით.

აიყვანდით თუ არა სამუშაოდ მსგავსი გამოცდილებისა და ცოდნის სტუდენტს? დიახ, არა

პრაქტიკის ხელმძღვანელი _____

თარიღი _____

ორგანიზაციის ბეჭედი _____